შემოსავლების
სამსახური

თბილისი 0114, გულუას ქ. 4
ტელ: +995 (32) 226 17 58, +995 (32) 226 26 81
ელ. ფოსტა: info@rs.ge
ვებ საიტი: www.rs.ge
**აუდიტის დეპარტამენტი**

5760-21-14-2-201501261228

N 21-14/5760

26/01/2015

# *საგადასახადო შეტყობინება*

| გადამხდელის დასახელება |
| --- |
| **შპს „ ჯორჯიან პეტროლიუმ პროდაქტს კომპანი”** |

| საიდენტიფიკაციო ნომერი |
| --- |
| **404879832** |

იურიდიული მისამართი: ქ.თბილისი, ვაკე-საბურთალოს რაიონი / ჭავჭავაძის გამზ 74

წინამდებარე საგადასახადო შეტყობინება გაცემულია საქართველოს საგადასახადო კოდექსის 264-ე მუხლის შესაბამისად.

შემოსავლების სამსახური გეგმავს **შპს „ ჯორჯიან პეტროლიუმ პროდაქტს კომპანი” (ს/ნ 404879832)** საქმიანობის გასვლით საგადასახადო შემოწმებას. შესამოწმებელი პერიოდი მოიცავს გადასახადის გადამხდელის შეუმოწმებელ პერიოდს (ხანდაზმულობის ვადის გათვალისწინებით ბოლო შემოწმების პერიოდიდან).

ზემოხსენებული მუხლის თანახმად, შემოწმება დაიწყება მინიმუმ ათ სამუშაო დღეში და ამ წერილის გაცემიდან არაუგვიანეს 30 დღეში. თქვენი საქმე გადაეცა აუდიტის დეპარტამენტის შემოწმების მთავარი სამმართველოს **გასვლითი საგადასახადო შემოწმების პირველი სამმართველოს მთავარ აუდიტორებს ლევან ყურუას, მერაბ გუგავას, უფროს აუდიტორ ნანა ელიზბარაშვილს, აუდიტორებს თათია ქსოვრელს, ვარლამ უგულავას, ასისტენტებს ელიზბარ ფურცელაძეს, ეთერ ბერუაშვილს** რომლებიც დაგეკონტაქტებიან, რათა დაინიშნოს პირველი შეხვედრისათვის მოსახერხებელი დრო.

ავღნიშნავთ, რომ ჩვენთვის ძალზე მნიშვნელოვანია ეფექტური თანამშრომლობა გადამხდელებთან, რათა აუდიტი მიზანმიმართულად წარიმართოს და ფუჭად არ დაიხარჯოს თქვენი და აუდიტორის დრო არაპროდუქტიულ ძიებაზე. ამ თვალსაზრისით, ძალიან დაგვეხმარებით თუ ელექტრონული დანართის შესაბამისად წარმოგვიდგენთ ინფორმაციას (ელექტრონული სახით) და ასევე, ბუღალტრული აღრიცხვის ელექტრონული წარმოების შემთხვევაში, გთხოვთ, წარმოგვიდგინოთ პროგრამის ასლი (ელექტრონული სახით).

ყოველივე ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით და საქართველოს საგადასახადო კოდექსის 70-ე მუხლის შესაბამისად, გთხოვთ **10 კალენდარული** დღის ვადაში წარმოგვიდგინოთ ზემოხსენებული ინფორმაციები. თუ ამ დროში არგუმენტირებული მიზეზებით ვერ ხერხდება

ელექტრონული ინფორმაციების მოწოდება, დაუკავშირდით აუდიტორებს და შეათანხმეთ ინფორმაციის მოწოდების უფრო ხელსაყრელი დრო. მათი საკონტაქტო დეტალებია:

| | |
|---|---|
| ლევან ყურუა | ტ. 5 77054086 |
| მერაბ გუგავა | ტ. 5 99040867 |
| ნანა ელიზბარაშვილი | ტ. 5 77053703 |
| თათია ქსოვრელი | ტ. 5 77057327 |
| ვარლამ უგულავა | ტ. 5 77057331 |

საფუძველი: სსკ-ის 264-ე მუხლი. საქართველოს ფინანსთა სამინისტროს საგამოძიებო სამსახურის 2015 წლის 22 იანვრის №544/15-04-01 წერილი (შემ №10277/21-14 22,01,15).

შეტყობინების ერთი პირი ჩავიბარე

---------------------------------------------------

(სახელი გვარი გარკვევით, კავშირი გადამხდელთან)

„ ........ " „ ........................... " 2015 წ.

ბაქარი დევდარიანი

დეპარტამენტის უფროსი

შემოსავლების სამსახურის აუდიტის დეპარტამენტი